საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მონაზონი

მონაზონი, პირი, რომელმაც საკუთარი ნებით აირჩია რელიგიური ცხოვრების ასკეტური წესი. **მ.** ზოგადი სახელია თუმცა ყოველდღიურ მეტყველებაში იგი მდედრობითი სქესის მოღვაწეს აღნიშნავს, ხოლო მამაკაც **მ**-ს ბერი ეწოდება. ტერმინები ბერი და **მ.** სინონიმებია სამღვდელო ხარისხების აღნიშვნის დროს, კერძოდ „შავ“ სამღვდელოებაში დიაკვნის ხარისხს ბერდიაკონი შეესაბამება, ხოლო მღვდლისას – მღვდელმონაზონი. ბერ-მონაზვნობა უპირატესად მონასტრულ ცხოვრებას უკავშირდება (იხ. *მონასტერი*). თუმცა არსებობს ბერ-მონაზვნული ცხოვრების სხვა. წესიც – ანაქორეტული (განდეგილური). (იხ. *მეუდაბნოება*).

ზ. ეკალაძე